უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

14.05.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;
თინათინ ზურაბიშვილი - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველოს კვლევების დირექტორი;
ლილი ბიბილაშვილი - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას'' პრეზიდენტი;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლელა ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;
კახაბერ ჯაყელი - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ელენე ჯიბლაძე - ცენტრის დირექტორი;
ნინო ტალიაშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. სოლომონ პავლიაშვილი - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. მაია ხურცილავა - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. გიორგი ფერაძე - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):
თეა ნადირაძე;
ანა კლდიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ-ზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს ჰკითხა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 8 და 13 მაისს ცენტრში შემოვიდა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ორი წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №273869; №279812), რომელთა მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებას მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა მარგიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გააცნო შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის 8 მაისს წარმოდგენილი წერილი, რომელშიც დაწესებულება წერდა: ,,შპს ,,წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში" ამა წლის 14 და 15 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სასწავლო უნივერსიტეტს ჩაბარდა 2014 წლის 25 აპრილს. ავტორიზაციის საბჭო დანიშნულია 2014 წლის 14 მაისს. შრომის კოდექსის თანახმად დაემთხვა უქმე/დასვენების დღეები. იმისათვის, რომ სასწავლო უნივერსიტეტი სათანადოდ მოემზადოს საბჭოს სხდომისათვის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ვთხოვთ, 2014 წლის 14 მაისს დანიშნულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გადადოს ჩვენი საკითხის განხილვა უახლოეს საბჭოს სხდომამდე." 2014 წლის 13 მაისს წარმოდგენილ წერილშიც დაწესებულება ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას უახლოეს საბჭოს სხდომაზე.

ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ავტორიზაციის მაძიებლად იქნა ცნობილი ცენტრის დირექტორის 2014 წლის 6 იანვრის ბრძანებით. დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა დაწესებულების წარმომადგენელს გადაეცა 2014 წლის 25 აპრილს. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის შესახებ ან ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობიდან 90 დღის განმავლობაში. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ უახლოესი საბჭოს სხდომა დანიშნული იყო 2014 წლის 19 მაისს და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2014 წლის 8 მაისს გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 19 მაისის სხდომაზე საკითხის განხილვის გადადების შემთხვევაში, დაირღვევა 90-დღიანი ვადა.

საბჭოს წევრ ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, თუკი საკითხის განხილვა გაიმართება უახლოეს 2014 წლის 19 მაისის სხდომაზე, მაშინ 90-დღიანი ვადა დაირღვევა. ლელა ქელბაქინი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლებამოსილება, გადაედო საკითხის განხილვა 19 მაისის სხდომაზე. საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, ესწრებოდა თუ არა სხდომას შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ფერაძემ ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის მიხედვითაც გიორგი ფერაძე უფლებამოსილი იყო მონაწილეობა მიეღო საბჭოს სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობის განხილვაში. გიორგი ფერაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა დაწესებულებას ჩაბარდა 2014 წლის 25 აპრილს და, ვინაიდან, 2014 წლის 14 მაისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გამართვამდე დაემთხვა რამდენიმე უქმე/დასვენების დღე, არგუმენტირებული პასუხები ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ საკითხებზე შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს არ ჰქონდა სრულყოფილად მომზადებული. შესაბამისად, გიორგი ფერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილი იყო საკითხის განხილვა გადადებულიყო 2014 წლის 19 მაისის სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ 19 მაისის სხდომაზე საკითხის გადადება გამოიწვევდა კანონმდებლობით დაწესებული 90-დღიანი ვადის დარღვევას. რევაზ აფხაზავამ დაზუსტების მიზნით ჰკითხა გიორგი ფერაძეს, თანახმა იყო თუ არა იგი, რომ შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო 2014 წლის 19 მაისს. გიორგი ფერაძემ დაადასტურა, რომ ის, როგორც შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, თანახმა იყო, საკითხი განხილულიყო 2014 წლის 19 მაისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრებმა მიმართეს ცენტრს, რამდენად ჰქონდა საბჭოს უფლებამოსილება საკითხის განხილვა გადაედო 2014 წლის 19 მაისის საბჭოს სხდომაზე .

18:47 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:00 საათზე.

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ტალიაშვილი დაეთანხმა ლაშა მარგიშვილს და აღნიშნა, რომ საკითხის განხილვის 2014

წლის 19 მაისის სხდომაზე გადადება გამოიწვევდა კანონმდებლობით დადგენილი 90 დღიანი ვადის დარღვევას. ნინო ტალიაშვილმა, განმარტა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, აცნობოს დაინტერესებულ მხარეს სხდომის გამართვის შესახებ და მისცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამ შემთხვევაში, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა სრული ინფორმაცია სხდომის გამართვისა და მისი თარიღის შესახებ,რადგან, საბჭოს დღის წესრიგი გამოქვეყნდა 7 დღით ადრე ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ამასთან, უნივერსიტეტს დამატებით გაეგზავნა ოფიციალური წერილობითი მოწვევა. ამ ვითარებაში, დაინტერესებული პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე, მისი აზრით, საკითხის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება, თუმცა ნინო ტალიაშვილის აზრით, ავტორიზაციის საბჭოს, მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, ზეპირ მოსამენაზე დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფად, შეეძლო ემსჯელა შემდეგი სხდომისთვის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუკი საკითხის განხილვა გადაიდებოდა მომდევნო სხდომაზე, რადგან ამ შემთხვევაში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობას მიიღებდა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი და დაწესებულება შეძლებდა არგუმენტირებულად დაესაბუთებინა თავისი პოზიცია დასკვნაში მოყვანილ მონაცემებთან მიმართებით. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რევაზ აფხაზავამ, კიდევ ერთხელ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თანახმა იყო თუ არა იგი, რომ შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო 2014 წლის 19 მაისს დანიშნულ სხდომაზე. გიორგი ფერაძემ დაადასტურა, რომ იგი თანახმა იყო შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი განეხილათ 2014 წლის 19 მაისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზევე შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიაწოდა ინფორმაცია 2014 წლის 19 მაისს ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო ავტორიზაციის საბჭოს სხდომისთვის, რასაც ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ვაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №261 გადაწყვეტილებით, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 924-ით, საიდანაც პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობად დადგინდა 150. დასკვნის თანახმად, ამჟამად დაწესებულებაში ირიცხება 644 სტუდენტი.

დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების დროს ფლობდა ფართს 2 მისამართზე (1. ქ.თბილისში, ა. პოლიტოვსკაიას ქ. №10 1150 კვ.მ და ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. №55. 1172 კვ.მ).

ამჯერად დაწესებულებამ თხოვნით მიმართა ცენტრს კონტინგენტის 376 სტუდენტით გაზრდის თაობაზე.

ამჟამად სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაციები. პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტერია	IV	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალ	30

			ტერ-ტექნიკოსი	
2	ბუღალტერია	V	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალ ტერი	30
3	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	IV	მეოთხე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	V	მეხუთე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია	120
5	ოფისის მენეჯერი (მდივან -რეფერენტი)	IV	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	ტუროპერატორი	IV	ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ტურის-ტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტი	60
7	ტუროპერატორი	V	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8	გიდი	IV	გიდის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. სასურსათო ტექნოლოგია; 6. ჟურნალისტიკა.	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration (BBA) 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (02 05) Bachelor of Business Administration in Tourism 3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში Bachelor Human Sciences in Philology 4. სამართლის ბაკალავრი (Bachelor in Law) 5. სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Food Technology 6. ჟურნალისტიკის ბაკალავრი (Bachelor of Arts in Journalism)
მაგისტრატურა	1. ფინანსები; 2. მენეჯმენტი; 3. სადაზღვევო საქმე; 4. მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა; 5. სურსათის უვნებლობა; 6. ტურიზმი.	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში. Master of Business Administration in Banking 2. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში. 3. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სადაზღვევო საქმეში Master of Business Administration in Insurance 4. აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი 5. აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი სურსათის უვნებლობაში 6. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში Master of Business Administration in Tourism

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

დაწესებულების საერთო ფართი	
მისამართი	ქ.თბილისი, ეგნატე ნინოშვილის ქ. №55
საკადასტრო კოდი	01.16.01.014.017
მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საერთო ფართი	მიწის ნაკვეთი 1678 კვ.მ და შენობა-ნაგებობა 2922.3 კვ.მ
საკუთრების ფორმა და მოქმედების ვადა	იჯარის ხელშეკრულება მეიჯარე დავით ჯანგულაშვილთან, პ/ნ 01010008911, დამოწმების თარიღი: 28/06/2012 და შეთანხმება მხარეთა შორის 2012 წლის 25 ივნისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი: 16/01/2014

დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებულია, რომ უნივერსიტეტის საერთო ფართი შეადგენს 2658.22 კვ.მ-ს.

გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტს იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გადაცემული აქვს ქ. თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის №55- ში მდებარე №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობები. სასწავლო უნივერსიტეტმა №1 შენობა-ნაგებობას დააშენა ერთი სართული, რის შემდეგაც სამივე შენობის საერთო ფართმა შეადგინა 2922.3 კვ.მ.

შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შემდეგად აღმოჩნდა, რომ №2 და №3 შენობა-ნაგებობები ამორტიზირებულია და საჭიროებს დემონტაჟს, რის გამოც სასწავლო უნივერსიტეტი ამ ფართს (ჯამში 264.08 კვ.მ.) სასწავლო პროცესში ვერ იყენებს. დარჩენილი 2658.22 კვ.მ-დან სასწავლო პროცესში გამოყენებულია 1454.04 კვ.მ., რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: სასწავლო–სამეცნიერო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიების ფართი შეადგენს 1187,74 კვ.მ–ს, ლაბორატორიების – 119,09 კვ.მ–ს, აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახების ფართი 46,52 კვ.მ–ს, ბიბლიოთეკის კი - 100,69კვ.მ–ს.

ვიზიტის დროს სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით ირიცხებოდა 546 ერთადგილიანი მერხი და 1606 ცალი სკამი, თუმცა რეალურად უნივერსიტეტში აღმოჩნდა 458 ცალი მერხი, 1127 ცალი სკამი და 96 ცალი მაგიდა პერსონალური კომპიუტერებისთვის.

შენობაში, რომელშიც სასწავლო პროცესს წარმართავს სასწავლო უნივერსიტეტი, ზემოთ აღნიშნული, რელურად არსებული, ინვენტარი განლაგებულია შემდეგნაირად: სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია 448 ცალი ორადგილიანი მერხი თავისი სკამებით, 5 ცალი სამადგილიანი მაგიდა თავისი სკამებით, 5 ცალი ოთხადგილიანი მაგიდა თავისი სკამებით; 96 სკამი შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით დგას პერსონალურ კომპიუტერებთან; 45 ერთეული სკამი დამატებით დგას ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში და 35 სკამი კი დამატებით განაწილებულია შენობაში, სხვადასხვა აუდიტორიაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მფლობელობაშია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (პროექტორები, პრინტერები, სკანერები, ასლის გადამღები აპარატები და სხვა).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებითაც განსაზღვრული ფუნქციები უზრუნველყოფენ მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (აქვთ საკუთარი გენერატორი), სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები (შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა).

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებაზე ზრუნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ს/კ 205296650, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე - ექიმი, რომელიც დანიშნულია რექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მანდატურის სამსახურთან და ექიმთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი, როგორც სამსახურეობრივი ვალდებულებები, ასევე უფლება-მოვალეობებიც. დაწესებულების შენობაის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და განთავსებულია 13 ცეცხლმაქრი. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 31 იანვრის №10 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების შტაბი და საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების გეგმა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულებას არ აქვს ცალკე, გამოყოფილად, შემუშავებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებაში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

ბიბლიოთეკაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, როგორც ქაღალდის მატარებელზე, ასევე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ამონარიდი დებულებიდან ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ", გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკას აქვს აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. დაწესებულებამ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოადგინა „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან" გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა ამ ხელშეკრულებას ვადა 2009 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 14710 ერთეულს, ხოლო ელექტრონულ მატარებელზე არსებული ფონდი - 600 ერთეულს. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდურის, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებულის) შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აღებულ იქნა 26 სილაბუსი, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის მითითებული ძირითადი 65 სახელმძღვანელოდან, გადამოწმებისას ადგილზე არ აღმოჩნდა 11 სახელმძღვანელო.

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რისთვისაც არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, ბრძანებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნები, თუმცა არაა აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი.

სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი, www.tbuniver.edu.de ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან.

სასწავლო უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ხორციელდება პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება, სამუშაო და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობით დაწესებულ კრიტერიუმებს. ისინი შერჩეული არიან საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით გამოცხადებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების მეშვეობით. აკადემიური პერსონალის სტატუსები ასეა გადანაწილებული:

- 16 პროფესორი;
- 44 ასოცირებული პროფესორი;
- 1 ასისტენტ-პროფესორი;
- 1 ასისტენტი.

კონკურსის პირობები შეესაბამება როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით დადგენილ პირობებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ამიტომ ის ვერ ჩაითვლება თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" 228-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან, მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, რამდენი კვადრატული მეტრი დაიმატა დაწესებულებამ მას შემდეგ, რაც მიიღო ავტორიზაცია. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ სასწავლებელმა დაიმატა 550 კვ.მ.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სამაგისტრო და კროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, სტუდენტები დროის გარკვეულ ნაწილს ატარებდნენ პრაქტიკის ობიექტებზე. ამასთან, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სწავლება უტარდებოდათ დღის მეორე ნახევარში. დღის პირველ ნახევარში სწავლება ძირითადად მიმდინარეობდა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურზე. შესაბამისად, დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებას შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა შეეძლო 1300 სტუდენტისთვის. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი სურვილი იყო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო არა 150-ით, როგორც ეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №261 გადაწყვეტილებაში

იყო აღნიშნული, არამედ 100-ით. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რატომ სურდა დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შემცირება. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არ იყო მაღალი მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211356414) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300-ით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა კი - 100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:10 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა

.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე